ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის ოქმი N6

ქ. ლანჩხუთი 20.05.2022 წ

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე; გიორგი იმნაიშვილი, ზაზა წულაძე, ლოლიტა ურუშაძე, გივი ცინცაძე, სპარტაკ კვაჭაძე, ჯუმბერ ბლაგიძე, გიორგი გოგუაძე.
სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ელისო ჭიჭინაძე, კახა თედორაძე, ემზარ თევდორაძე.
მოწვეული პირი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.
სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ნინო ებრალიძე საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე.

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი იმნაიშვილმა სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინელ ხალხს და სხდომის მონაწილეებმა ფეხზე ადგომით წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს უკრაინაში დაღუპულ გმირებს.

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი იმნაიშვილმა სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე’ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი იმნაიშვილი/

2. ,,მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: გიორგი იმნაიშვილი/

3. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში (გარდა სოფელ მალთაყვიდან მდინარე სეფისწყალამდე შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის რადიუსში არსებულ დასახლებებში და დასახლებათა შორის არეალებში მოქცეული ტერიტორიისა) II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი II კლასის დამხმარე ხასიათის შენობა-ნაგებობებისთვის და II კლასის ღობეების მშენებლობისათვის (რეკოსტრუქციისათვის) მშენებლობის დეტალური შეტყობინების დადგენის შესახებ’’ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: **გიორგი იმნაიშვილი**/

4. სხვადასხვა.
დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი იმნაიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
მომხრე 7 ; წინააღმდეგი არცერთი .

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N34 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 10/08/2015 სარეგისტრაციო კოდი 210020020.35.112.016235) შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

ა) დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) დადგენილების მე-3 და მე-4 მუხლები ამოღებულ იქნეს;

გ) დადგენილების მე-8 მუხლის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე’ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ **გიორგი იმნაიშვილმა** კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 5; კომისიის წევრებმა გიორგი გოგუაძემ და გივი ცინცაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ,,მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან აღნიშნა, რომ **მუხლი 1** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემოღებულ იქნეს:

ა) მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებელი (შემდგომში – მშენებლობის სანებართვო მოსაკრებელი).

ბ) მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტის მშენებლობისა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებელი.

მუხლი 2 მშენებლობის სანებართვო მოსაკრებელი ახალასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის განისაზღვროს:

ა) სოფელ მალთაყვიდან მდინარე სეფისწყალამდე შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის რადიუსში არსებულ დასახლებებში და დასახლებათა შორის არეალებში:

ა.ა) სააგარაკე და ინდივიდუალური სახლებისათვის – 4 ლარი;

ა.ბ) მრავალბინიანი სახლები, კომერციული დანიშნულების ობიექტები (სასტუმრო, სავაჭრო და გასართობი) – 4 ლარი;

ა.გ) სამრეწველო ობიექტი – 5 ლარი;

ა.დ) სამკურნალო-გამაჯანსაღებელი, სარეაბილიტაციო პროფილის შენობა-ნაგებობებისათვის – 2.5 ლარი;

ბ) ქალაქ ლანჩხუთის ტერიტორიაზე – 4 ლარი;

გ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სხვა დანარჩენ ტერიტორიაზე – 2,50 ლარი;

დ) ხაზობრივი ნაგებობების მშენებლობისათვის მოსაკრებლის ოდენობა 1 (ერთი) გრძივ მეტრზე შეადგენს – 1 (ერთი) ლარს;

ე) ისეთი შენობა-ნაგებობის (გარდა ხაზობრივი ნაგებობისა) მშენებლობის შემთხვევაში, რომელსაც არ აქვს განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობი:

ე.ა) II კლასის ობიექტებისთვის – 50 ლარი;

ე.ბ) III კლასის ობიექტებისთვის – 200 ლარი;

ე.გ) IV კლასის ობიექტებისთვის – 400 ლარი.

მუხლი 3 მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტის მშენებლობისა) სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებლის განაკვეთი განისაზღვროს:

ა) II და III კლასის შენობა-ნაგებობების შემთხვევაში:

ა.ა) განცხადების წარდგენიდან სამ სამუშაო დღეში – 500 (ხუთასი) ლარი;

ა.ბ) განცხადების წარდგენიდან ხუთ სამუშაო დღეში – 300 (სამასი) ლარი;

ა.გ) განცხადების წარდგენიდან ათ სამუშაო დღეში – 200 (ორასი) ლარი;

ბ) IV კლასის შენობა-ნაგებობების შემთხვევაში:

ბ.ა) განცხადების წარდგენიდან სამ სამუშაო დღეში – 1 500 (ათას ხუთასი) ლარი;

ბ.ბ) განცხადების წარდგენიდან ხუთ სამუშაო დღეში – 1000 (ათასი) ლარი;

ბ.გ) განცხადების წარდგენიდან ათ სამუშაო დღეში – 700 (შვიდასი) ლარი;

ბ.დ) განცხადების წარდგენიდან თხუთმეტ სამუშაო დღეში – 500 (ხუთასი) ლარი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: ,,მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ **გიორგი იმნაიშვილმა** კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 7; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში (გარდა სოფელ მალთაყვიდან მდინარე სეფისწყალამდე შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის რადიუსში არსებულ დასახლებებში და დასახლებათა შორის არეალებში მოქცეული ტერიტორიისა) II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი II კლასის დამხმარე ხასიათის შენობა-ნაგებობებისთვის და II კლასის ღობეების მშენებლობისათვის (რეკოსტრუქციისათვის) მშენებლობის დეტალური შეტყობინების დადგენის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან აღნიშნა, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის" 94-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ან მის ნაწილში II კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისთვის ამ მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლება აქვს, მშენებლობის ნებართვის მიღების ვალდებულების ნაცვლად, დაადგინოს მშენებლობის დეტალური შეტყობინების ვალდებულება. მერიის მოსაზრებაა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, (გარდა სოფელ მალთაყვიდან მდინარე სეფისწყალამდე შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის რადიუსში არსებულ დასახლებებში და დასახლებათა შორის არეალებში მოქცეული ტერიტორიისა) II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი II კლასის დამხმარე ხასიათის შენობა-ნაგებობებისთვის და II კლასის ღობეების მშენებლობისათვის (რეკონსტრუქციისათვის) მშენებლობის ნებართვის მიღების ვალდებულების ნაცვლად დადგინდეს მშენებლობის დეტალური შეტყობინება.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში (გარდა სოფელ მალთაყვიდან მდინარე სეფისწყალამდე შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის რადიუსში

არსებულ დასახლებებში და დასახლებათა შორის არეალებში მოქცეული ტერიტორიისა) II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი II კლასის დამხმარე ხასიათის შენობა-ნაგებობებისთვის და II კლასის ღობეების მშენებლობისათვის (რეკონსტრუქციისათვის) მშენებლობის დეტალური შეტყობინების დადგენის შესახებ'' ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
სხდომის თავმჯდომარემ გიორგი იმნაიშვილმა კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 5; კომისიის წევრებმა გიორგი გოგუაძემ და გივი ციმცაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

სხვადასხვა.
დეპუტატმა ჯუმბერ ბლაგიძემ აღნიშნა: საქართველომ შეავსო კითხვარი ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით და სასურველია საკრებულომ მიიღოს ზეპირსტრული განცხადება ევროკავშირში გაწევრიანების მხარდაჭერის თაობაზე; გრიგოლეთში მშრალ ხიდთან გაკეთდა კოლექტორი შესაბამისი ინფრასტრუქტურით, მერიის შესაბამისი სამსახურის ინფორმაციით ობიექტი ჩაბარებულია და ექსპლოატაციაშია მიღებული. გთხოვთ ადგილზე ნახოთ ეს ობიექტი რადგან ეფიქრობ იმდენად ხარვეზებით არის გაკეთებული, რომ იგი არ ამუშავებს; სუფსაში რკინიგზის სადგურის მიმდებარეთ არსებული სკვერი სასურველია შემოღობოს რკინიგზის მხრიდან რათა დაცული იქნას სანიტარული ნორმები და სიხუფთავე; სამწუხაროთ სუფსაში ასფალტის საფარი გზებზე იმ რაოდენობით და ტემპით არ იგება, ეიდრე მუნიციპალიტეტის სხვა სოფლებში, მაგ. ნიგვზიანში.
დეპუტატმა ლოლიტა ურუშაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ ლანჩხუთის წ. დუმბაძის ქუჩის მოსახლეობა ითხოვს ხიდთან ტერიტორიის შემოღობვას და განწვანებას. სასურველი იქნება თუ დადებითად გადაეწყვეტთ ამ საკითხს.
დეპუტატმა გივი ციმცაძემ აღნიშნა, რომ ნიგოითის ადმინისტარციულ ერთეულში სოფ. ჩოლობარგში არის ილია ჭავჭავაძის დროინდელი ქოხსამკითველოს შენობა, რომელიც ეკონომიკის სამინისტროს კუთვნილებაა და ინგრევა. იქნებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტმა მოითხოვოს მისი გადმოცემა საკუთრებაში შემდგომი განკარგვის უფლებით.
დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, გვაქვს ინფორმაცია, რომ სოციალურად დაუცველების დასაქმების პროცესში თავი იჩინა როგორც პრობლემებმა, ისე დანაშაულებრივმა ქმედებებმა. დასაქმებულთა სამუშაოზე გამოცხადების ტაბელებს ადგენენ მერის წარმომადგენლები. სარგებლობენ ამ ფაქტით და ისინი გამოუცხადებელი დღეების გამოცხადებულად გატარების საჩაცვლოდ დასაქმებულებიდან იღებენ თანხას. სამწუხაროდ ამ საკითხთან დაკავშირებით დამაიმედებელი პასუხები ვერ მივიღეთ ფრაქციის სხდომაზე.

ამით კომისიამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს სოციალურ-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: /გიორგი იმნაიშვილი/

lanCxuTis municipalitetis sakrebulos
sivrciT-teritoriuli dagegmarebisa da infrastruqturis komisia

2800 lanCxuTi, kostavas 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის დასკვნა N6

ქ. ლანჩხუთი **20.05.2022 წ.**
11.00 საათი

2022 წლის 20 მაისს მოწვეული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა დასუფთავების და ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N34 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე’ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

2. ,,მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

3. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში (გარდა სოფელ მალთაყვიდან მდინარე სეფისწყალამდე შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის რადიუსში არსებულ დასახლებებში და დასახლებათა შორის არეალებში მოქცეული ტერიტორიისა) II კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი II კლასის დამხმარე ხასიათის შენობა-ნაგებობებისთვის და II კლასის ღობეების მშენებლობისათვის (რეკოსტრუქციისათვის) მშენებლობის დეტალური შეტყობინების დადგენის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

დღის წესრიგის პირველი საკითხი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივ მოსაკრებლების შემოღების, გადახდის ინსტრუქციის, დაგვა დასუფთავების და ნარჩენების გაუკარგვ წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ივლისის N დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე' ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულ დადგენილების პროექტი.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შენიშვნების გარეშე გადაეცეს საკრებულოს სხდომ განსახილველად.

დღის წესრიგის მეორე საკითხი 2. „მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციულ ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოსაკრებლის შემოღების და სანებართვ მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტ საკრებულოს დადგენილების პროექტი.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შენიშვნების გარეშე გადაეცეს საკრებულოს სხდომ განსახილველად.

დღის წესრიგის მესამე საკითხი 3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ სახღვრებ (გარდა სოფელ მალთაყვიდან მდინარე სეფისწყალამდე შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის რადიუს არსებულ დასახლებებში და დასახლებათა მორის არეალებში მოქცეული ტერიტორიისა) II კლას ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების, მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი II კლას დამხმარე ნასათის შენობა-ნაგებობებისათვის და II კლასის ღობეების მშენებლობისათვ (რეკონსტრუქციისათვის) მშენებლობის დეტალური მეტყობინების დადგენის შესახებ" ლანჩხუთ მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შენიშვნების გარეშე გადაეცეს საკრებულოს სხდომ განსახილველად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და
ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე: გიორგი იმნაიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის
კომისიის სარეგისტრაციო ფურცელი

20.05.2022 წელი
11:00 საათზე

	სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1.	სხდომის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი	10:50	
2.	ემზარ თევდორაძე	—	
3.	სპარტაკ კვაჭაძე	10-57	
4.	ელისო ჭიჭინაძე	—	
5.	კახა თედორაძე	—	
6.	ლოლიტა ურუშაძე	10:50	
7.	ზაზა წულაძე	10[50]	
8.	გიორგი გოგუაძე	10-55	
9.	გივი ცინცაძე	10-55	
10.	ჯუმბერ ბლაგიძე	10 50	